

**საქსამსახურების
 საკლასიო თამაშები:
 «პატრიარქი
 ხენტიკური
 საღვთვერვო
 საგმართველოდან»**
 17

**კითხვები, რომლებიც გარდა ბიძინა
 ივანიშვილის 5 ნომბრის გამოსვლის უეფდებ**
 3



**ესენი ისევ ის
 «თამროები» არიან!**
 5



ნიკოლოზ მჭავანაძე:
**ჩვენ ვართ
 ამერიკის
 ტრანსნახიო-
 ნალური
 ხენტკების
 პოლიტიკური
 ლაბორა-
 ტორია**
 6

გეორგი ტური: ხუდსა და უარეს შორის

„2012 წლის
 ამომრჩეველები“,
 ალბათ, ვერასოდეს
 წარმოიდგენდნენ,
 რომ 2018-ში მათი
 თანამომამაგულეების
 მნიშვნელოვანი
 ნაწილისთვის
 „ნაცმოქროება“
 და სააკაშვილის
 სადისტურის
 რეჟიმი ისევ
 აქტუალური
 იქნებოდა.
 ამას, რომ იტყვიან,
 მოხერხება უნდოდა

**ქვეყნის დრომოჭეული
 სსტიკი რეჟიმის რესტავრაციის
 სუბიროება დაუდბა**
 2



**საქართველოში დღეს
 მიმდინარე პროცესებს
 ალექსანდრე ჭაჭია წლების
 წინათ პროგნოზირებდა**

„ბიჭები, რომლებსაც
 ივანიშვილი დაუტოვებს
 კალაუფლებას, ორიოდე თვეში
 დაივიწყებენ მის არსებობას.
 როგორც კი ჩაიბდებენ
 სახელმწიფო ბიუჯეტის
 ხელში, მათ აღარ
 დასჭირდებათ მისი სუბსიდიები“
 8



**მიხეილ სააკაშვილი და
 ლენინის გარბრუბი**
 16



„მე წარმოვადგინე პარტიას, რომელსაც,
 სავარაუდოდ, არ აქვს ფული, იმიტომ, რომ ჩვენ
 არაფერი მოგვიპარავს... მე სადღაც
 დაძირავებულ ბინაში ვცხოვრობ, ჩემი
 მინისტრები დღიური მუშაები არიან“

**გახვეთილი სფრტსოგელა:
 რუსეთი დაბვიყრობს!**
 7



**ეგებ ხალხს კკითსოთ,
 ბატონებო, ეუინია რუსეთის?**

პაუნიანი ამერიკას უურჩება



**დასავლეთი სარკათს აიკულებს,
 უეწყვიტოს დილომატიური
 აქტიურობა კოსოვოს
 აღიარების წინააღმდეგ**
 15



www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არა მხოლოდ განსჯის უნარი, არამედ თვითგადარჩენის ინსტიტუტიც დაკარგა.

გასულ კვირას რამდენიმე უცხოელმა ჟურნალისტმა და ექსპერტმა, სოცქსელებსა და კერძო საუბრებში გამოხატა გაკვირვება იმ ემოციური ამოფრქვევის გამო, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურს მოჰყვა. მათთვის ასეთ სიტუაციაში უჩვეულო არაფერია — ხელისუფლებისა და ოპოზიციის კანდიდატებმა დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს და ახლა ურთიერთობას მეორე ტურში გაარკვევენ; მსგავსი შედეგი განვითარებულ ქვეყნებში საგვსებით ნორმალურია. მათ არ ესმით, რატომ ესაუბრებიან ქართული რესპონდენტები ისე, თითქოს აპოკალიფსის ეპიცენტრში იმყოფებიან.

ამ უცხოელ კომენტატორებს, სავარაუდოდ, ბოლომდე გააზრებული არ აქვთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ორივე ძალა, რომლებიც ერთმანეთს მეორე ტურში დაუპირისპირდება, ანტიდემოკრატიულია, „დაპროგრამებულია“ ავტორიტარული რეჟიმის შექმნაზე და ხელისუფლების ყველა შტოს ტოტალურ კონტროლზე. სწორედ ამ მიზანს უქვემდებარებენ ისინი თავის ფუნქციონირებას, მიუხედავად იმისა, რომ მის მიღწევას სწრაფი დაცემა მოჰყვება. ქართველებმა, უცხოელებისგან განსხვავებით, იცავენ ან, ყოველ შემთხვევაში, გრძობენ, რომ ნებისმიერი ფორმის ორხელისუფლებიანობა, რომელშიც ჩართულია ორი მსგავსი ძალა, შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებითა და (რთული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე) სახელმწიფოებრიობის კრახით დასრულდეს. ალბათ, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა ვისაუბროთ არჩევნების დასრულების ორადორ შესაძლებელ ვარიანტზე — ვაშაძის ან ზურაბიშვილის გააზრდვებაზე.

2020 წლამდე; 2. მოაწყონ რეგოლუცია „ქუჩიდან“, კონსტიტუციისა და კანონების უგულვებლყოფით; 3. შეაგროვონ ხელმოწერები და მოითხოვონ რეგარეშე არჩევნების დანიშვნა ინიციატივის რეფერენდუმზე გატანით ან მის გარეშე. პირველი ვარიანტი ყველაზე უპრობლემო ჩანს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ სააკაშვილი დაელოდება „ქართული ოცნების“ მოკიდან გამოსვლას და ძალების გადაჯგუფებას. ამასთანავე, მოსახლეობა დაინახავს, რომ ვაშაძეს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მეორე ვარიანტი ძალზე სარისკოა. რაც შეეხება მე-სამეს, „ქართული ოცნების“ ლიდერებს წინააღმდეგობის განწვევა გაუჭირდებათ, რადგან ოპონენტები იტყვიან, რომ ისინი თავის სადეპუტატო სკამებს იცავენ და არჩევნების ეშინიათ. რეგარეშე არჩევნების დანიშვნა შეიძლება ვერ მოხერხდეს იურიდიული ბარიერების და შედარებით შემჭიდროებული ვადების გამო, მაგრამ აქ მთავარია, რომ სახელისუფლო პარტია თავის მართლების რეჟიმში გადავა, ხოლო საზოგადოებაში გაძლიერდება განცდა, რომ „ქართული ოცნება“ მიდის, ხოლო „ნაციონალიზმის“ ბრუნდება.

ამ პერსპექტივის გათვალისწინებით, ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში, „ქართული ოცნებას“ (თუ ფარ-ხმალს არ დაყრის და კაპიტულანტურ გარიგებაზე არ წავა) ექნება ძალიან მცირე დრო პარტიის ტოტალური გარდაქმნისთვის მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე (მიუხედავად იმისა, ვადამდელი იქნება თუ არა) დარჩენილი დროში. მისი ძირითადი პრინციპები ყველასთვის ცნობილი და გასაგებია, თუმცა, შესაძლოა, პარტიის შიგნით აღარ არსებობს ინტელექტუალური რესურსი, რომელიც ამ რეფორმის უზრუნველყოფს. ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არა მხოლოდ განსჯის უნარი, არამედ თვითგადარჩენის ინსტიტუტიც დაკარგა. მუშაობა წინის პირობებში „ოცნებას“ ზურაბიშვილის გამარჯვების შემთხვევაშიც მოუწევს, რადგან ნაციონალიზმი, რომლებმაც დაიჯერეს, რომ რეგანში შესაძლებელია, ძალისხმევას რეგოლუციისკენ თუ არა, საპარლამენტო არჩევნებისკენ მიმართავენ, ხოლო საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც გადაამწყვეტ მომენტში თავისი ხმებით „ქართული ოცნებას“ დაეხმარება, ამის სანაცვლოდ ცვლილებებს აუცილებლად მოითხოვს.

არაერთი ნაციონალი ვარაუდობს, რომ ვაშაძის გამარჯვების შემთხვევაში „ქართული ოცნების“ რღვევის პროცესი დაიწყება — „პორტირებული“ მედროვეები სააკაშვილის ბანაკს დაუბრუნდებიან და ივანიშვილის პარტია, „მოქალაქეთა კავშირის“ მსგავსად, ჩამოიშლება, მით უმეტეს, რომ შემავალი იმის გათვალისწინებით, რომ კონტროლი მთავრობასა და პარლამენტზე „ოცნების“ ხელში დარჩება, ნაკლებად სავარაუდოა, პოზიციები ზენოლის გარეშე დათმოს. მნიშვნელოვანია, რა ფორმას მიიღებს ეს უხელოა. რის გაკეთება შეუძლია ვაშაძეს პრეზიდენტის პოსტზე? დიდი-დიდი, ახალია და მერაბიშვილს შეინყალებს, ხოლო სააკაშვილს, მაგალითად, „ეროვნული გმირის“ წოდებას მიანიჭებს. ავღაბრის რეზიდენცია, ალბათ, გადაიქცევა ნაციონალურის ერთგვარ კლუბად სამლოცველოს ელემენტებით, მაგრამ მათი პრეზიდენტი, იურიდიული ბარიერებიდან (მაგალითად უთხრან მისას) გამომდინარე, პარლამენტს ვერ დაშლის. ამ დროს „ოცნება“, სავარაუდოდ, მას უარესად მოეცევა, ვიდრე მარგველაშვილს, რათა ის (უფრო სწორად — მიხეილ სააკაშვილი) პროვოკაციაზე წამოაგოს. ნაციონალურ მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება მოუწევთ: 1. დაელოდონ არჩევნებს

მეორე ტური: სუფსა და უარესს შორის ქვეყანას დრომოჭმული სასტიკი ჩეუიის რესტავრაციის საუბროება დაუღა



ქვეყნის პერიოდი, როდესაც „ქართული ოცნება“ უკონკურენტო იყო, დასრულდა. ყველა იცოდა, რომ ადრე თუ გვიან არჩევნებზე პრობლემები შეექმნებოდა. პოლიტიკაში მარადიული არაფერია, თუმცა „2012 წლის ამომრჩევლები“, ალბათ, ვერასოდეს წარმოიდგენდნენ, რომ 2018-ში მათი თანამემამულეების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის „ნაციონალიზმის“ და სააკაშვილის სადისტური რეჟიმი ისევე აქტუალური იქნებოდა. ამას, რომ იტყვიან, მოხერხება უნდოდა.

მსგავსი რამ 2011 და 2016 წლებში პერუში მოხდა, როდესაც „ყველა თვლიდა“, რომ ალბერტო ფუხიმორისა და მისი მხარდამჭერების საკითხი, მათი ფარდობითი სიმარტობის მიუხედავად, დღის წესრიგიდან მოხსნილი იყო. 2011-ში ყოფილი დიქტატორის ქალიშვილმა კეიკო ფუხიმორიმ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში (პერუ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა და იქ ამ პოსტს გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს) ხმების 48,66% მიიღო. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ მის კონკურენტს კრიტიკულ მომენტში დაეხმარა „ასი მწერლის მიმართვა“, რომელთა შორის იყო ნოტდენიანი მართი ვარგას ლოსა. მათ ამომრჩევლებს მოუწოდეს, „ნაკლები ბოროტება აირჩიონ“ (საქართველოსთვის კარგად ნაცნობი თემა) და დიქტატურის დაბრუნება არ დაეშვნ. 2016 წელს კეიკო ფუხიმორის პარტიაში მიიღო ადგილები უმრავლესობა პარლამენტში, საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური 39,86%-ით მოიგო, ხოლო მეორეში გამარჯვებამდე (შესაბამისად, ძველი რეჟიმის სრულ რევანშამდე) მას ხმათა 0,12% (!) დააკლდა. ეს მთელი რიგი მიზეზებს თანხვედრამ განაპირობა, თუმცა უმთავრესი იმ პრინციპებზე უარის თქმა იყო, რომელიც გარემოში თავის დროზე გაერთიანდნენ დიქტატურის მონინალმდეგები. რეგანის იდეა თავისით არასოდეს კვდება და, თუ მას ნაყოფიერ უპირატესობას არ დაუპირისპირებ, ისე დაბრუნდება და ქვეყანას დრომოჭმული სასტიკი რეჟიმის რესტავრაციის საშიშროება დაუღა.

ერთია: ის პერიოდი, როდესაც მმართველი პარტია თითქოს ვაკუუმში მოქმედებდა და წინააღმდეგობა არ ხვდებოდა, წარსულს საშუალოდ ჩაბრუნდა. თუ გაიმარჯვებს ზურაბიშვილი, ნაციონალური, სავარაუდოდ, გააფრთხილებს შეუტყვევებელ ხელისუფლებას. თუ მეორე ტურში სხვაობა ძალიან მცირე იქნება, გაყვლების საბაზით შეიძლება „მადინის“ აგორება ცვალონ, და, ალბათ, ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვენ რეგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ემოციურად დამუხტული ელექტორატის ენერჯია. ისინი ვერ დატოვებენ რინგს ისე ჩუმად, როგორც 2016 წლის არჩევნების შემდეგ — მათ ამომრჩევლებს ეს ძალიან არ მოეწონებოდა. კიდევ ერთი საკითხი, რომლის გატანას შეეცდებიან ნაციონალური და ევრონაციონალური (ის შეიძლება პოსტსა-არჩევნო კონსენსუსის ფარგლებში ესკალაციის ალტერნატივად წარმოაჩინონ) 2020 წლის არჩევნებისთვის პროპორციულ სისტემაზე გადასვლა. ამით ისინი ხელისუფ-

ლებას „მაჟორიტარულ რეჟიმს“ წაართმევენ და, თუ საპარლამენტო არჩევნები დაახლოებით იმავე შედეგით დასრულდება, როგორცაც საპრეზიდენტო პირველი ტური, კოალიციური მთავრობის შექმნის იმედი ექნებათ. ეს საკითხი, დიდი ალბათობით, აქტუალური გახდება როგორც ვაშაძის, ისე ზურაბიშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში, რადგან მისი განხილვა „ოცნებას“ ისევე და ისევე „პროვილეგიების დამცველად“ წარმოაჩენს. მაგრამ „ოცნებისთვის“ მთავარი საფრთხე, რომელიც ზურაბიშვილის გაპრეზიდენტებას უკავშირდება, არა „მაიდანის“ ან რეგარეშე არჩევნებშია, არამედ ის, რომ მისი ლიდერები ჩათვლიან, პრობლემები მართვას ისევე ძველ სტილში განაგრძობენ იმ იმედით, რომ მათი ამომრჩევლები მინც ვერსად წავა. ივანიშვილი არ შექმნა ძლიერი სატივლი პარტიები, რომლებიც (მაგალითად) წაართმევენ ლიბერალური ელექტორატის ნაწილს „ევროპულ საქართველოს“, ან „ქართულ ოც-



გვამლავთ პირობას, რომ სახელმწიფო უარს იტყვის ტრადიციული ოჯახის ნბრავაზე ვითომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საბაბით და არ დაუშვებს იუვენალური იუსტიციის შემოღებით ბავშვის აღზრდისგან ოჯახის ჩამოშორებას?

„არ შეიძლება მივცეთ საშუალება, ამ შეცდომებით ისარგებლოს ძალამ, რომელსაც სინამდვილეში ყველა იმ ღირებულების მოსპობა სურს, რომლებიც ასე ძვირფასია ჩვენთვის!“ — ბრძანებთ თქვენ 5 ნოემბრის მიმართვაში და საკუთარ თავზე აიღეთ პასუხისმგებლობა, რომ ერთ წელიწადში გაასწორობთ მართვის ყველა ხარვეზს. გვსურს, ამ საკითხებზე რამდენიმე კითხვა დაგისვით და ყურადღებით მოვისმინებთ თქვენს პასუხებს:

*** თვლით თუ არა, რომ მართლმადიდებლობა წარმოადგენს ქართველის ზნეობისა და ცხოვრების წესის საფუძველს და უნდა იყოს თუ არა ასე და არა სხვაგვარად?**

თვლით თუ არა, რომ მართლმადიდებლობას დღეს დაცვა სჭირდება, პრინციპულად და საქმით და არა მხოლოდ ზეპირი განცხადებით?

*** მიგაჩნიათ თუ არა „მართვის ხარვეზად“ სკოლებიდან გოგებაშვილის „დედა ენის“ ამოღება? აღადგენთ პირველკლასელებისთვის გოგებაშვილისეული „დედა ენით“ სწავლებას?**

*** შეცვლით თუ არა სასკოლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს იმ მიმართულებით, რომ ჩვენთან ბავშვი ქართული ტრადიციული ცხოვრების წესის სულისკვეთებით იზრდებოდეს და არა ყოველგვარი უმსგავსობისადმი „რა კარგია“-ს სულისკვეთებით?**

*** გვაძლევთ პირობას, რომ სახელმწიფო უარს იტყვის ტრადიციული ოჯახის ნგრევაზე ვითომ ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლის საბაბით და არ დაუშვებს იუვენალური იუსტიციის შემოღებით ბავშვის ოჯახისგან ჩამოშორებას და ბავშვის აღზრდისგან ოჯახის ჩამოშორებას?**

*** გვაძლევთ პირობას, რომ ვაზის სამშობლოში არ იქნება ნარკოტიკების პლანტაციები?**

*** გვაძლევთ პირობას, რომ აკრძალავთ ნარკოტიკების მოხმარებას და, საერთოდ, ნარკოტიკების პროპაგანდას ყველანაირი ფორმით (ახალაზნაზნა გადამღებული ქართული ფილმი „დაბოლოებული ნასოსი“ თუ ნახეთ)?**

*** გვაძლევთ პირობას, რომ ყოველდღიურად ღვთისმშობლის ქვეყანაში არ იქნება კაზინოებზე და ტოტალიზატორებზე წოდებული ცოდვის ბუდეები?**

*** შეზღუდავთ მამათმავლებისა და სხვა ათასი ჯურის უკუღმართების განუკითხავ პარპაშს, მათთვის აქ თავშესაფრის მიცემასა და სასათბურე პირობების შექმნას?**

*** აღკვეთავთ საქართველოს მოქალაქეობის განუკითხავად დარიგებას უცხოელეზისთვის?**

*** აღკვეთავთ ქართული მინის მიყიდვას უცხოელებისთვის?**

*** შეზღუდავთ თუ არა იმიგრაციას?**

*** მიუხედავად დეკლარირებული ეკონომიკური ზრდისა, რატომ იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი, ფასები პროდუქტებზე, ბუნებრივ აირზე, ელექტროენერჯიასა (დაანონსებულია მორიგი ზრდა) და სხვა ყველაფერზე და არ იზრდება ხელფასები, რიგითი ადამიანის შემოსავლები? მიგაჩნიათ თუ არა, რომ მოსახლეობის ხარვეზისა და შემოსავლების მიმართ რადიკალურად შესაცვლელი სახელმწიფო პოლიტიკა? თუ შესაცვლელია, კონკრეტულად**

როგორ?

*** გამოქვეყნებული მონაცემებით, 2018 წელს ქვეყანაში შემოსულ იმპორტში ათი ყველაზე მეტი ოდენობის საქონელიდან ათივე კვების პროდუქტია: ხორბალი, ფქვილი, ხორცი, ზეთი, ხახვი, კარტოფილი, კიტრი, პომიდორი და ა.შ. ამასთანავე, მაღაზიაში, მაგალითად, ქართული პომიდორი ღირს 3 ლარი, იმპორტირებული — 3 ლარი. ფიქრობთ თუ არა, რომ ეს არანორმალურია და რომ საქართველოს აქვს პოტენციალი, თვითონვე აწარმოოს კვების ძირითადი პროდუქტები? აპირებთ ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალურად შეცვლას?**

*** ახლახან „ღვინის ეროვნულმა სააგენტომ“ გამოაქვეყნა სტატისტიკა, რომელ ქვეყანაში რამდენი ბოთლი ღვინო გაიყიდა. ანგარიშში საქართველოსთვის სტრატეგიულ ბაზრებად მოხსენიებულია ქვეყნები, რომლებშიც 33 ათასიდან 300-400 ათასამდე ბოთლი ღვინო გაიყიდა. სულ ჩამოთვლილია ცხრაამეტი ქვეყანა, მათგან თვრამეტე ქვეყანაში გატანილია, საერთო ჯამში, 19.5 მილიონი ბოთლი, ხოლო მეცხრამეტე ქვეყანაში — რუსეთში გატანილია 42 მილიონ 300 ათასი ბოთლი, ე.ი., ყველა დანარჩენთან შედარებით ორჯერ მეტი, მაგრამ რატომღაც რუსეთი სტრატეგიულ ბაზრებს შორის არ მოიხსენიება. ასეთი მიდგომა ნორმალურად და ქვეყნის ეკონომიკისთვის სარგებლიანად მიგაჩნიათ?**

*** ფიქრობთ თუ არა, რომ შემოშობთ საკანონმდებლო მექანიზმი, რათა ეროვნულმა ბანკმა საქართველოში არსებული ქართული სანარმოები დააკრედიტოს ლარით და ამ გზით განავითაროს ადგილობრივი წარმოება?**

*** აპირებთ თუ არა, რომ ბანკების საქმიანობა, პირველ რიგში, ეროვნული ბანკი, მოაქციოთ მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და ჩააყენოთ ისინი ქართული ეკონომიკის სამსახურში?**

*** აპირებთ თუ არა, შემდგომში პასუხისმგებლობით მოეკიდოთ კანდიდატურების შერჩევას მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე (მარგველაშვილი, კვიციანიშვილი, ყიფიანი და კიდევ ბევრი სხვა მაგალითი)?**

*** ნორმალურად მიგაჩნიათ, რომ ქვეყნის უზენაეს სასა-**

კითხვები, როგორც გარდა ბიძინა ივანიშვილის 5 ნოემბრის გამოსვლის შედეგად



რატომ იზრდება ქვეყნის საგარეო ვალი, ფასები პროდუქტებზე, ბუნებრივ აირზე, ელექტროენერჯიასა (დაანონსებულია მორიგი ზრდა) და სხვა ყველაფერზე და არ იზრდება ხელფასები, რიგითი ადამიანის შემოსავლები? მიგაჩნიათ თუ არა, რომ მოსახლეობის ხარვეზისა და შემოსავლების მიმართ რადიკალური პოლიტიკაა შესაძლებელი სახელმწიფო პოლიტიკა?

მართლოს ამდენი ხანია, თავმჯდომარე არ ჰყავს? შეძლებთ, რომ სასამართლო სისტემას სათავეში ჩაუყენოთ პატრიოტი, მებრძოლი, პრინციპული და ნებისყოფიანი ადამიანი (ასეთი ხელმძღვანელები არც სხვა უწყებებს არ აწყენდა)?

*** საქართველოში კონსტიტუცია და კანონი ვერ მიგვიღია, თუ ვენეციის კომისიამ არ მოგვიწონა, სასამართლო განაჩენს გამოიტანს და სტრასბურგი შეგვიჩერებს. თქვენ დამოუკიდებლად მიგაჩნიათ ქვეყანა, რომელიც თავისი საჭიროებებიდან გამომდინარე არა, გარეშე ძალების მონაწილის მიხედვით იღებს კანონს, ესე იგი, ქვეყანაში ამკვიდრებს სხვების (და არა საკუთარი მოსახლეობის) მოსაწონს სავალდებულო ქვეყნის წესს**

ელჩს სომხეთში — რიჩარდ მილსს სომხეთის პრემიერმა ნიკოლ ფაშინიანმა საჯაროდ ცივი უარი სტკიცა ირანთან საზღვრის ჩაკეტვის მოთხოვნაზე იმ მოტივით, რომ ეს არ შეეძლოს სომხეთის ინტერესებში. სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივიცა დაჩიჩიჩმა საჯაროდ გააკრიტიკა დასავლეთი იმის გამო, რომ სერბეთს უშლიან დიპლომატიურ მუშაობას კოსოვოს საერთაშორისო აღიარების არდასაშვებად. თქვენ გეყოფათ გამბედაობა, უარი უთხრათ ათასგვარ მითითებებსა და მოთხოვნებზე ამერიკისა და ევროკავშირის ემისრებს, რომლებიც მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ჩვენს ხარვეზზე მოაგვარონ საკუთარი საქმეები?

*** რამდენიმე დღის წინათ, როცა აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში — ჯონ ბოლტონი თბილისის შემდეგ ერევანს სტუმრობდა, მას და აშშ-ის**

თუნდაც ასი მართლმადიდებელი ლტოლვილი შეგვეფარებინა მათ მთავრობასთან შეთანხმებით? ამით ხომ, მართლმადიდებლური სოლიდარობის გამოჩენასთან ერთად, თავიდან ავიცილებდით სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას? იქნებ ახლა მაინც შევიტანოთ რაიმე მოკრძალებული წვლილი სირიის აღდგენაში და ამით შევქმნათ პოზიტიური წინაპირობა სირიის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან გასაწვევად, ასეთი პრეცედენტი ხომ ბევრია?

*** სად არის თქვენი დაპირებები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე? რას აპირებთ კონკრეტულად ამ მიმართულებით?**

*** გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო მაჩვენებელი იმდენად მისი და მისი გარემოცვის პროგრამა-პოლიტიკა-პერსონების შედეგი არ არის, რამდენადაც იმის, რომ მათ კარგად გამოიყენეს თქვენი ექსპლუატაციის პოლიტიკისა და საარჩევნო კამპანიის შეცდომები. აქედან ლოგიკური ეჭვი: არ გეჩვენებათ, რომ ის ხალხი, რომელმაც შემოგთავაზათ სახელმწიფო მმართველობის სტრატეგია, საზოგადოდ, და ამ საარჩევნო კამპანიის გეგმა, კერძოდ, სააკაშვილთან ფარულ აღიარებაში მოქმედებდნენ?**

*** საჭიროა თუ არა მაღალჩინოსნების მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებელი პარამეტრების შემუშავება-დანერგვა?**

*** ფიქრობთ თუ არა, რომ შესაქმნელია ქმედითი მექანიზმი ყველა დონის სახელმწიფო მოხელის კონკრეტული პასუხისმგებლობისთვის, თუ ის დაკისრებულ სამუშაოს თავს ვერ გაართმევს?**

*** თქვენ ადრეც აიღეთ პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მაგრამ თანამდებობიდან ნახევრით და ფორმალურად პასუხისმგებლობას თავი აარიდეთ, საქმე გაფუჭდა, პასუხი არავის უგია. ახლა შეიძლება გვეპირდები იმავეს და ისევ პასუხისმგებლობას იღებთ. გვინტერესებს, კონკრეტულად რა მიზანბატება თქვენი პასუხისმგებლობა, თუ დანაპირებს ამჯერადაც არ შეასრულებთ? როგორ აგებთ პასუხს, რა ფორმით, რა მოქმედებით?**

„საქართველო და მსოფლიოს“
სარედაქციო კოლეგია

გაყოფათ გაგადაოცა, უარი უთხრათ ათასგვარ მითითებებსა და მოთხოვნებსა ამაგიკისა და აპროპაგანდის ემისრებს, როგორც გარდა ბიძინა ივანიშვილის 5 ნოემბრის გამოსვლის შედეგად

P.S. არ ვიცი, ვის გულისხმობს ბ-ნი ბიძინა „ქართული ოცნების“ ძველ გვარდიაში, მაგრამ მკითხველს გვინდა შევახსენოთ, რომ დღიდან ჩვენი გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლისა (2009 წ. 18 თებერვალი), დაუნდობლად ვამხელდით სააკაშვილის რეჟიმს, რისთვისაც ორჯერ დაგვარბიეს. ჩვენ ვამხედდით სააკაშვილს მამინ, როცა ყველა სხვა დიტირამებს უმღეროდა ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩუმად იყო და ელოდებოდა, საით გადაიხრებოდა სასწორი. მიგაჩნია, რომ ჩვენმა გაზეთმა თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა „ნაც-ნობდრობის“ ბანდის გაძევებაში.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



მივმართავ ხელისუფლებას: ქართველ ხალხს უკვე ნაკლებად გვინტერესებს, რა უნდა „ქართულ ოცნებას“. ქართველთა უმრავლესობას სწავლია, რომ სალომეს გაპრეზიდენტება ავტომატურად ნიშნავდა უნამუსო, უტიფარი, ქართველთა სისხლში გასვრილი ნაცების არა მხოლოდ უბრალოდ დამარცხებას არჩევნებში, არამედ ნაცების, როგორც პარტიის, ერთხელ და სამუდამოდ დასამარცხებას.

განვლილმა არჩევნებმა ერთი პოზიტიური შედეგი მოიტანა — მეორე ტურის წინ მოხდა დიდი თვითლუსტრაცია, ყველას და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. საზოგადოებამ ნათლად დაინახა, რომ ცოტა ხნის წინათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხმაურიანი დაშლა „მფრინავი ჰოლანდიელი“ მიშიკოს მოგონილი გაშლა ყოფილა — პირველი ტურის შედეგები ჯერ ბოლომდე დათვლილი არ იყო, რომ ე.წ. ევროპულმა საქართველომ, გენბავთ, ევრონაცებმა, მეორე ტურში მხარდაჭერა გრიგოლ ვაშაძეს აღუთქვეს და გიგი უგულავას პირით დახდინეს, რომ ეს არის ჩვენი მხარდაჭერა, მიუხედავად რაც საკითხებში ფუნდამენტური განსხვავებებისა, რაც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს. რა ფუნდამენტური განსხვავებები შეიძლება არსებობდეს, ფიქტურად კი არა, როგორც ამ შემთხვევაშია, არამედ თუნდაც რეალურად ორად გაყოფილთა შორის?!

„უიარაღო“ კონტრაბანდის პერიფრაზით თუ ვიტყვი, არც ერთი ევროპელი და არც მეორე ამერიკელი, ორივე ბედკრული საქართველოს მტრად მოიხილი, ქართველთა შიშველი შვილია, რომლებიც მეტ-ნაკლები სიხშირით თორემ, ორივე ერთნაირი სიამით ვასვასებდა 9 წლის განმავლობაში მათ მიერვე სადისტურად დაღვრილ ქართველთა სისხლსა და ცრემლში და ორთავეს ერთი პატრონ-მყვარებელი ჰყავთ ევროპარლამენტში ე.წ. სახალხო (ლიბერალისტული — დ.მ.) პარტიის სახით.

გამო და 11-სუბიექტიანი კოალიციის მეთორმეტე წევრად შეიყვანა საქართველოში „ყველაზე ძველი“ რესპუბლიკური პარტია. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ თავად „კა-გე-ბეს“ ჯარში ნამსახურებ ექსპრეზიდენტს ამ შემთხვევაში ლევან ბერძენიშვილთან საბოლოო არაფერი ჰქონდა, რის დასტურადაც მცირე ამონარიდებს მოვიყვანო რამდენიმე წლის წინათ ჩემ მიერ ამავსე გაზეთში გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელიც შეიქმნა გაზეთ „ჯორჯიან თაიმსის“ 2008 წლის 17 აპრილის ნომერში დასტამბულ წერილზე დაყრდნობით, სათაურით „ვინ და რატომ ჩაუშვა ლევან ბერძენიშვილმა „სუკ“-ის იზოლაციაში“, უფრო სწორად ეს იყო ძმები ბერძენიშვილების „სუკ“-თან თანამშრომლობის ამსახველი განსაიდუმლოებული დოკუმენტების ქსეროასლები.

როგორც იმ დოკუმენტებიდან ირკვევა, სინანულში ჩავარდნილი ლევან ბერძენიშვილისთვის თხოვნა შეუსრულეობათ და საკანში სანერი მონაცობილობა მიუთმევიათ. ჰოდა, მას შემდეგ, როგორც იტყვიან, კალამი ვერ გააგდებინეს ხელიდან — 1984 წლის 6 იანვარს დაიწყო და ნაწიდა აღიარება-მონანიება-ჩაშვების კაკალი, საიდანაც პიკანტური ამონარიდებს გვავაზობთ:

„თვითნაბეჭდი (ე. წ. სამიზნეობა — დ.მ.) ჟურნალი „სამრეკლო“ მეტი სოლიდურობისთვის გამოცხადდა არარსებული პარტიის (ესეც თქვენი უმეველესი პარტია — დ.მ.) ორგანოდ, ხოლო „პარტიას“ (სტილი აქაც და ყველგან დაცულია — დ.მ.) მოქმედება პომპეზური და პრეტენზიული სახელი: საქართველოს რესპუბლიკური პარტია“.

„იქვე — „ჩვენი უსუსურობის კიდევ უფრო შესანიშნავად შეურნალის პირველსავე ნომერს დაერთო „რესპუბლიკური პარტიის (არარსებულის — დ.მ.) წესდება, რომელიც ჩემი რედაქციით მომზადდა“.

„და კიდევ — „გადაწყდა, რომ სტატიები მოგვემზადებოდა მე, ვ. ძაბირაძესა და ვ. შიონას, ჟურნალის გავრცელება კი, ჩემი წინადადებით, ეს „საქმე“ დაევალა ჩემს უმცირეს ძმას, დავით ვალერიანის ძე ბერძენიშვილს“.

რა ჰქვია ამას, თუ არა ელემენტალურად „ჩაშვება“? ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ლევან ბერძენიშვილი მაგრად დაიწყო „შაშინებულა“: „სიხარულით მივიღე აფხაზეთის უნივერსიტეტის მოწვევა. სწორედ აქ, სოხუმში, ჩვენი (ჩემი და

ბოლოს უაყარნეს მიუხედავად დაუღილ-გაუღილი ნახევი



მიუხედავად უამრავი ნაკლისა და ქართველი საზოგადოების პრეტენზიებისა «ქართული ოცნებისა» და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ნახსროვას რომ ყველაფერი ჯობია, ჭკუთმყოფელი აღაშიანებისთვის უღაპო ჭეშმარიტებაა. სწორედ იმ მიზნით, რომ არ დაუშვასთ ეპრო თუ უბრალო ნახევის რაიმე ფორმით ხელისუფლებაში დაბრუნება, 4 ნოემბერს ვერის ბაღში შეიკრიბნენ, პირდაპირ, კრიტიკის თბილისელები

ჩემი მეუღლის) ცხოვრების პირველსავე დღეებში მოვიდა გამოფხიზლება და არ ვმალავ, რომ აფხაზეთში ნასვლა იყო ფაქტური გაქცევა არარსებობისთვის გამოცხადდა არარსებული პარტიის (ესეც თქვენი უმეველესი პარტია — დ.მ.) ორგანოდ, ხოლო „პარტიას“ (სტილი აქაც და ყველგან დაცულია — დ.მ.) მოქმედება პომპეზური და პრეტენზიული სახელი: საქართველოს რესპუბლიკური პარტია“.

ეს, პოლკოვნიკ ა. მირიანაშვილსა და გამოძიებელს, კაპიტან გ. ცინცაძეს, რომლებმაც მამაშვილი და მეგობრული (ავოევე! — დ.მ.), ჰუმანური დამოკიდებულებით საშუალება მომცეს, ამეხსნა ჩემი სულითვის ეს მიძიმე ტვირთი (სალო, ლეოვან, კარგი ხარ! — დ.მ.) და მელარებინა ჩემი დანაშაული. ველოდები დამსახურებულ სასჯელს და იმედი მაქვს, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ რაიმეში მაინც გამოვადგები ჩემს ერს, ჩემს ქვეყანას, ჩვენს საბჭოთა ხალხსა და მის იდეალებს. როგორც იქნა, ჩემი სინდისი სუფთაა...
სალომე ზურაბიშვილი

პატრიარქი და ახლა ახლა სიმალღეზე ასვლას „ვულოცავთ“ — იგი იმ კოალიციას უჭერს მხარს, რომელიც შედინა ან მხარს უჭერენ: **თამარ ჩხიკიძე, ირინე სარიშვილი, ბაჩუკი ქარაძე, გიგა ბოქორია, ქვიპი ბერძენიშვილი, რომან გომციანი** და ა.შ. ერთი სიტყვით, **ზვიად გამსახურდიას** იდეური მკვლელები... ყოველივე ზემოთქმულის მიზანი არ არის ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის განქიქებით „ქართული ოცნების“ გათვრება. ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობთ დათა თუთაშხიას ცნობილი პრინციპიდან გამომდინარე — „მეფეს და ჟანდარმებს ყველაფერი ჯობია“. მიუხედავად უამრავი ნაკლისა და ქართველი საზოგადოების პრეტენზიებისა „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ნახსროვას რომ ყველაფერი ჯობია, ჭკუთმყოფელი აღაშიანებისთვის უღაპო ჭეშმარიტებაა.

სწორედ იმ მიზნით, რომ არ დავუშვათ ევრო თუ უბრალო ნაცების რაიმე ფორმით ხელიწვებაში დაბრუნება, 4 ნოემბერს ვერის ბაღში შეიკრიბნენ, ძირითადად, რიგითი თბილისელები. ამ შეკრებაზე სიტყვის თქმის პატივი თქვენს

მონამორჩილსაც მერგო. აღვნიშნე, რომ არჩევნების მეორე ტურამდე დარჩენილი დრო, იმის მიხედვით, რას აპირებს „ქართული ოცნება“, ცოტა ხნის არის და ბევრიც. აქედან გამომდინარე, იქიდანაც მივმართე და ახლა აქედანაც მივმართე ხელისუფლებას: ქართველ ხალხს უკვე ნაკლებად გვინტერესებს, რა უნდა „ქართული ოცნებას“. ქართველთა უმრავლესობას სწავლია, რომ სალომეს გაპრეზიდენტება ავტომატურად ნიშნავდა უნამუსო, უტიფარი, ქართველთა სისხლში გასვრილი ნაცების არა მხოლოდ უბრალოდ დამარცხებას არჩევნებში, არამედ ნაცების, როგორც პარტიის, ერთხელ და სამუდამოდ დასამარცხებას.

ამ შედეგისთვის კი ქუდზე კაცია საჭირო, რაც მხოლოდ „ქართული ოცნების“ პარტიული რესურსების მობილიზაციით ვერ მოხერხდება. ვერც ბიძინა ივანიშვილის მიერ უხვად გაცემული სიტყვიერი და პირებები იქნება საკმარისი ქუდზე კაცის ეფექტისთვის, რადგან ბატონ ბიძინას აღარ აქვს საზოგადოების ჭარბი ნდობა, რომლითაც იგი აქამდე სარგებლობდა. აქედან გამომდინარე, მკაფიო, უტყუარა და გზავნილებია საჭირო ქართველი საზოგადოებისადმი, რომ იგი ამჯერად მაინც შეასრულებს თავის დაპირებებს. მსგავსი ქმედებები კი არჩევნებამდე დარჩენილ მოკლე დროში ძალზე ძნელია, მაგრამ არა შეუძლებელი...

ბატონო ბიძინა! **ნაცების დასამარცხებლად საჭიროა, რომ პარლამენტმა დაუშვას ნაციონალური ოცნებისა „საპარტიოთა ალიანსის“ ინიციატივა: შვიპინას პარლამენტის დროებითი საგამომიხიბო კომისია, რომელიც გამოიძიებს მარცხის რეპოლუციურად ნოქაშულ, სახელმწიფო გადატრიალების მხრივ მოსული ხელისუფლების დანაშაულებს, დასჯის დამნაშაულებსა და აოლიტიკურად შავსახალსა საპარტიოთა ალიანსის 9-წლიან ხელისუფლებას. ეს კი, თავის მხრივ, ლეგიტიმური საფუძველი იქნება იმისა, რომ „ნაციონალურ ბას“, როგორც პარტიას, პოლიტიკური საქმიანობა ააპრობო. მეორე ტურამდე პარლამენტის მიერ „პარტიოთა ალიანსის“ ინიციატივის გაზიარებას, რომელსაც 300 ათასამდე ხელმოწერა უმაგრებს ზურგს, კოალიციის დასასრულის დასაწყისად აღიქვამს ქართველი საზოგადოება, კოალიციის, რომელიც ყოველივე ზემოთხსენებული უბედურებების თავიდათავია.**

ეს კი თავისთავად ქუდზე კაცის გამოსვლის გარანტიაა. დანარჩენი თქვენი დაპირებები, ბატონო ბიძინა? დანარჩენზე არჩევნების მერე დაგელაპარაკებათ ქართველი ერი...
დავით მხიპია

ბიძინა ივანიშვილის „მონაწილე“ მსოფლიო ყოფილი თანამშრომლების მიმართ მოზოდინობა, სოლო მისილი სააკაშვილი თავის მართლად მონაწილე მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულს, სისტემურ კრახს, კრიმინალურ მმართველობას აღიარებს. სასატილოა, როცა ამგვარად, ადამიანებისთვის სახლების უკანონოდ ჩამორთმევის მუდმივად უკვე გამოვლინო.



ბაკჩხვანიძის სააპოლოგო მხარე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაკრაძის №6, ტელ: 234-32-95

ესენი ისევ ის «თამაროები» არიან!

«უსოფინარი» ყოფილი პროკურორი, «მუღაშიდან გამოსული» ყოფილი პრეზიდენტი და «გამოსწორებული» ნახატი

მართლა სიმბოლურად დაემთხვა ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის გამოსვლა ზუსტად 7 ნოემბერს. სიმბოლურადვე ემთხვევა „ნაცების“ შესაძლო დაბრუნების საფრთხე ნოემბერს და, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ მართლად დაბრუნდება (დემონსტრაციები და პრეზიდენტის „სუსტი ინსტიტუტის“ ხელში ჩაგდება, შემდეგ კი ამ ბერკეტის ეფექტიანი გამოყენებით ხელისუფლება სრულად ჩაიგდოს ხელში, „ნაცების რევანშის“ თვე ნოემბერი იქნება.

2003 წლის ნოემბრიდან 2018 წლის ნოემბრამდე ზუსტად 15 წელიწადია. ქართული პოლიტიკა ამ 15 წელს 9+6 წლად ყოფს, „მანიაკობისა“ და „უნიატობის“ პერიოდებად. არჩევანიც მარტივია ნორმალური ადამიანისთვის — **ქიდეზ უფრო რომ გამოუნი-ათოვდეს ჩვენი ახლანდელი ხელისუფლება, მანიაკობის დაბრუნება მიიწვევს არ უნდა სურდეს მას, ვინც მაზოხისტი არ არის.**

სწორედ ამიტომ გადაწყვიტე, რომ არჩევნების მეორე ტურამდე ჩემი გვერდის თემა მხოლოდ არჩევნების მეორე ტური იქნება და, ბუნებრივია, იმის პირდაპირი პროპაგანდაც, რატომ არის დაუშვებელი 5 ნომრის შემოხაზვა. შეგნებულად არ ვწერ პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ორი კანდიდატის სახელებსა და გვარებს. ასევე შეგნებულად არ ვწერ იმ მეორე რიცხვს, რომელიც საარჩევნო ბიულეტენში, 5-ის გარდა, ეწერება. ამას მნიშვნელობა არ აქვს და იმით. **რა გვარები უნდა იყოს მონაწილეები, ვინც უნდა იყვნენ ისინი და რა რიცხვით უნდა იყვნენ, 5-ის გარდა, სავარაუდოდ ბიძინა ივანიშვილი თავისი ბოლო გამოსვლისას ნამდვილად აღარ იყო ჩვეული ჯიუტობისა და თავისნათქვამობის ხასიათზე, რაც გარკვეულ იმედს იძლევა. კონკრეტულად რის იმედს — ამაზე მეორე ტურის შემდეგ ვილაპარაკოთ. ახლა იმაზე ვისაუბროთ, რას სთავაზობს „სახელმწიფო“ და გამოსწორებული „ნაციონალური მოძრაობა“ (ეს მათი მთავარი საარჩევნო მესიჯია) ხალხს. არ ვამბობ, თავის ამომრჩევლებს-მეთქი, რადგან მათი სტაბილური ამომრჩევლები, ანუ საერთო რაოდენობის 15-17 პროცენტს მართლაც ძალიან მდგრადია და, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის, ისინი მინიმუმ მისცემენ**

ხმას. ალბათ, დაზუსტება არ სჭირდება იმას, რომ არჩევნებზე მისული 46 პროცენტის 37 პროცენტი სწორედ 17 პროცენტია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა.

„ნაციონალური მოძრაობა“ ახლა იმ ადამიანების ხმებზე „ჩალიჩობს“, რომლებიც არჩევნების პირველ ტურზე არ მივიდა და მეორე ტურზე აუცილებლად მივა. რა თქმა უნდა, ზუსტად იმავეს ჩალიჩობს „ქართული ოცნებაც“. სწორედ ამით იყო განპირობებული ივანიშვილის „მონაწილეობა“ 2012 წლის „ძველი გვარდიის“ მიმართ მათი არდაფასებისა და ფეხებზე დაკიდების გამო.

დემოგოგიას ჩვეულმა ნაცვებმა და მათმა მიმდევრებმა უშუალოდ დაცინვა დაუწყეს ბიძინას, — ნახეთ, როგორი დამარცხებული მანტია აქვს, მონაწილეები დაიწყეთ.

ამ დემოგოგებს ან გამოჩინა, ან განგებ დატოვეს ყურადღების მიღმა ის, რომ „მონაწილეები“ მათმა ბელადმა **მიხეილ სააკაშვილმა** დაიწყეს და თანაც ისეთი, რელატიურად როგორც უნდა იყოს დამნაშაულისა და ბოროტმოქმედის მონაწილე.

ამაზე მინდა სწორედ თქვენი ყურადღება გავამახვილო, პოტენციურად მეორე ტურზე მიმსვლელი ამომრჩეველი, რათა სწორი არჩევანი გააკეთო — ვის მისცე ხმა და ვინ არ მიუშვა არასოდეს ხელისუფლების არც ერთ შტოსთან, რაც უნდა „შეზღუდული უფლებები“ ჰქონდეს ამ შტოს.

რას „ინანიშვს“ ბიძინა ივანიშვილი? იმას, რომ თანამებრძოლები არ დააფასა და კოაბიტაციის პროცესი, სინამდვილეში, ყოფილი სადისკტების ხალხის თავზე დასმის პროცესში გადაიხარდა. **და რას ინანიშვს სააკაშვილი?** მოდი, მოვუსმინოთ: **„აღარ ვარ მე უკვე სახლების ჩამორთმევის, ასე ვთქვათ, ბიზნესში. აღარ ვაგვიკეთებ ამას. გეტყვით, რატომ — როცა ერთს ჩამორთმევ სახლს, მე რე ვე-ღარ ჩერდები და მე რე კიდევ ართმევ და ართმევ. მე რე გადადის რაღაც ვენდეტაში და შურისძიებაში. მე აღარ ვარ 2003 წლის ვერსიის სააკაშვილი, რეგულაციონერი ბოლშევიკი. მე უკვე მჯერა კანონის უზენაესობის. უკანონო ქონება არავის უნდა შერჩეს, მაგრამ ამისთვის არსებობს კანონიერი პროცედურები და ეს უნდა იყოს ხანგრძლივი პროცესი და არა ასე ხელაღებული მივარდნა და ჩამორთმევა. მე ასე ხელაღებით არავის აღარ დავსჯი. მე გამოვიცვალე“** (ვინმეს რამეში ეჭვი რომ არ შეეპაროს, გეტყვით, რომ ამ მონაწილის არა მხოლოდ ტექსტური, არამედ ვიდეოკერსიაც არსებობს!).



ამაზე მინდა სწორად თქვანი ყურადღება გავამახვილო, პოტენციურად მეორე ტურზე მიმსვლელი ამომრჩეველი, რათა სწორი არჩევანი გააკეთო — ვის მისცე ხმა და ვინ არ მიუშვა არასოდეს ხელისუფლების არც ერთ შტოსთან, რაც უნდა „შეზღუდული უფლებები“ ჰქონდეს ამ შტოს.

აბა, ახლა მითხარი, ნორმალური, დალაგებული, თავში თუნდაც ერთი გრამი ტვინი რომ გაქვს, ისეთი მკითხველი — რომელი „მონაწილეა“ უფრო ფარისევლურია შენთვის და რომელი მისაღები? **ბიძინა ივანიშვილის „მონაწილე“ მსოფლიო ყოფილი თანამშრომლების მიმართ მოზოდინობა, სოლო მისილი სააკაშვილი თავის მართლად მონაწილე მის მიერ ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულს, სისტემურ კრახს, კრიმინალურ მმართველობას აღიარებს.** სასატილოა, როცა ამგვარად, ადამიანებისთვის სახლების უკანონოდ ჩამორთმევის მუდმივად უკვე გამოვლინო. და ვინც უნდა დავივიწყოთ ის 9 წელი? ეს ხომ წარსულია! ერთი აბსურდი ისაა, რომ ამ ფრაზას ის ხალხი გაიძახის, რომელიც მერე დიდი გატაცებით საუბრობს „სტალინური და საბჭოთა რეპრესიებზე 1937 წელს“. გეგონება 1937 წელი არ არის წარსული და 2007 წარსულია; გეგონება 80 წლის წინათ რაც მოხდა, ის არ უნდა დავივიწყოთ და, 10 წლის წინათ რაც მოხდა, ის უნდა დავივიწყოთ მხოლოდ... ყველაზე მთავარი მაინც ის არის, რომ **საკაშვილისნაირი უტყვიანი მანიაკების ამ „მონაწილეობით“ ხელახლა გვიახლდება ის საშინელი ტვივილი და უბედურება, რომელსაც იმ 9 წლის განმავლობაში განვიცდიდით.** აბა, გავიზაროთ: 9 წლის განმავლობაში გვმართავდა ტირანი, რომელიც თავადვე ალიარებს, რომ „კანონის უზენაესობის აუცილებლობას“ მხოლოდ ახლად მიხვდა — მას შემდეგ, რაც (ის 2013 წლამდე იყო პრეზიდენტი) ჩამოაშორეს ხელისუფლებას, წავიდა ემიგრაციაში უკრაინაში, იქაც იმავეს ცდილობდა, მაგრამ მალევე გამოაბუნძულეს და მხოლოდ ამის შემდეგ კარგად ჩაფიქრდა და ჩაუღრმავდა. თურმე ახლად მიხვდა, რომ კანონი უზენაესი ყოფილა; მხოლოდ ახლად გააცნობიერა, რომ არ შეიძლება ადამიანთა ჯგუფებს კოლექტიუ-

რ ბრალდებები წაუყენო კოლექტივში; არ შეიძლება ადამიანს მიუვარდეს და ერთ ღამეში ჩამოართვა ქონება ყოველგვარი სასამართლოს გარეშე; თურმე ნებისმიერი ალსტრულებით მოქმედებისთვის არსებულ კანონიერი პროცედურები. **ხედავთ თქვენ? არ იცოდა ეს ყველაფერი კაცმა და რას ვიზამთ?! არცოდნის გულისთვის ხომ არ დავსჯით?! არადა, 2003 წელს, როდესაც ეს შურისცხადი მოდიოდა ხელისუფლების სათავეში, ყველაფერი, სადაც მიმინდებოდა ხმა, ვამბობდი: ამ სულით და ბუნებით სისხლისმსმელი ტირანის ხელისუფლებაში მოშვება არ შეიძლება-მეთქი!** მაშინ უმრავლესობა გაცილებითა და საყვედურით მასსუხობდა, რას ამბობ, მიხეილ სააკაშვილი მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული იურისტი იყო. **ჰოდა, ამ ცნობილ და მსოფლიოში აღიარებულ იურისტს თურმე არ სცოდნია, რომ კერძო საკუთრების ხელაღებით ჩამორთმევა, სასამართლოს გადაწყვეტილებისა და შესაბამისი კანონიერი ხანგრძლივი პროცედურების გარეშე, არ შეიძლება.** **აი, ეს კაცი იყო არა მხოლოდ იმ ცხრა წლის, არამედ მანამდე, წლების განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა**

კომიტეტის თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და ბოლოს უკვე ჩვენი სახელმწიფოს პირველი პირი. **სხვათა შორის, სიტყვამ მოიტანა და აქვე უნდა ვახსენოთ იუსტიციის კიდევ ერთი ყოფილი მინისტრი, ყოფილი გენერალური პროკურორის მოადგილე და ახლანდელი „დამოუკიდებელი ტელეკომპანიის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია. აკი, მანაც თავისი „ბელადის“ სტილში აღიარა: მე ახლა ვხვდები, დიდი შეცდომა იყო, როდესაც ჩვენი ხელისუფლების პირობებში სასამართლო-რიტი პროკურატურას დავუშორე და მოსამართლეები ფაქტობრივად პროკურატურის ბრძანებას ასრულებდნენ. ეს არ უნდა გვეძინა. ძალიან შევცდით, ისევე ჩვენ მოგვიჩვენა ეს ყოველივე და ახლა ჩვენ წინააღმდეგ იყენებს ამას ოლიგარქი ივანიშვილი.** **ხედავთ? მასაც ის აწუხებს, რას და როგორ იყენებს ივანიშვილი, და არა ის, რა ზარალი და უზღუდურება მოუტანა სახელმწიფოს იმ შტოებამ, რომელსაც სასამართლოების „დამორბევა“ და პროკურატურისთვის მათი ფაქტობრივი დაქვემდებარება ჰქვია.** მაგრამ ამანაც არ იცოდა თურმე და ახლა მიხვდა. ვიმეორებ: გენერალური პროკურორის მოადგილემ და იუსტიციის მინისტრმა არ იცოდა, რომ არ შეიძლება, სასამართლოს ვინმე აკონტროლებდეს და მით უფრო ბრალდებულთა „კანტორა“ — პროკურატურა. **სამაგიეროდ, ახლა უკვე ვიცით ეს ყოველივე, მიგვიშვით ისევ „ლუმელთან“ და აღარ ვიქნებით „ცუდი ბიჭები“, — გვევადრებიან „ხუთოსნები“ და საბჭოთა „კა-გე-ბეს“ ოფიცრის, ბრიგოლ ვაშაძის, მხარდაჭერას გვთხოვენ.** ისე, რომ დავუკვირებთ, მათ, „არ ვიცოდით და გვაპატიეთ“ ფორმულის გარდა, კიდევ აქვთ ერთი თავის შესაცოდებელი მეთოდი — „პრეზიდენტს დღევანდელი კონსტიტუციით არაფრის უფლება არ აქვს, ეს იქნება უბრალოდ სიმბოლური უფლები, რომ ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი შტო ოპოზიციის ხელში გადავა და ეს გამოაფინებლეს მოქმედ ხელისუფლებას“, — ასე გაიძვირულა ცდილობდეს ისინი ხალხის მოტყუებას. **აქ არ დავიწყებ იმის ახსნას, რა კონკრეტული ბერკეტები აქვს სინამდვილეში პრეზიდენტს საიმისოდ, ქვეყანა რომ არიოს. ვიტყვი, რომ ნაცვებმა, მანიაკებმა, სადისკტებმა და ნადირალებმა საქართველოში სიმბოლურადც კი ვერ უნდა გაიმარჯვონ!** **იმ გულუბრყვილოებს კი, რომლებსაც სჯერათ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ძალიან დაკნინებულია, არაფერს წარმოადგენს და არაა დიდი ტრაგედია, თუ მას ნაცვები ჩაიგდებენ ხელში, შევასხენებ, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში, სწორედ ასე საუბრობდა მიხეილ სააკაშვილი თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტის შესახებ, რომელიც საბოლოოდ ხელში ჩაიგდო და საიდანაც ტრამპ-ლინიით ახტა ხელისუფლების უმაღლეს საფეხურზე.** **ეს გაკვეთილი, თხრობით არა, ზემოადა დასასწავლი!**

სწორად ისმის ფრაზა: „აღარ



ი.ნ. ლიბარაშვილი ფრთხილად 2012 წელს მიცემული პირობა დაინიშნა (პრინციპში, პირობა ივანიშვილმა დადო) და სრული სვლით ეპროკა-ამერიკისკენ ავიღეთ გზი. სანაცვლოდ კი მივიღეთ ის, რომ ამერიკაც და ეპროკაც რუსეთს სწორედ ჩვენი ევატარებოდნენ, ჩვენ გვაძევაბდნენ, ჩვენ გვეუბნებოდნენ: ოკუპანტი უბანით ჩრდილოელ მეზობელს და ბრანტები არ შეწყდებოდნენ. შედეგად, აუცილებელი შეიქმნა ეპროკარაშვილის ქართულ წევრებს ყოველი გამოსვლისას რუსეთი ოკუპანტად მოეხსენიებინათ და ალტკინებული ეპროკალებს ტაში ამაყად ესმინათ.

ზუსტად ექვსი წელი ეყო ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის თემა. ის, რომ მიშა ჩამოვა და მერე ნახავთო, წინა არჩევნებზე აქტიურად მუშაობდა, ახლა კი ამკარად არ იმუშავა. არ იმუშავა იმიტომ, რომ „ქართული ოცნების“ ძველმა აქტივმა ხმა აღიმალა: მიშა აქ რომ იყო, მაშინ ვებრძოდით და არ გვეშინოდა, ახლა რატომ გვაშინებთო?! რეალურად კი, სააკაშვილის ჩამოსვლის იმათ უფრო ეშინათ, ვინც 2012 წელს ნაციონალების ნაფიდან „ოცნების“ გეგმა გადაჯდა და მათთან ერთად მიაპობს პოლიტიკურ ტალღებს. სწორედ მათ გაუჩნდათ შიში, რომ მამამთავარი ლალატს არ აპატიებდა, თორემ ძველ გვარდიას — 2012-ში ნაბრძოლ ხალხს, რომელიც ხელისუფლებამ სანაცვლოდ მოიხროლა, სააკაშვილის კი არა, მათი უფრო ეშინია ახლა.

მოკლედ, არ გაამართლა მიშას ჩამოსვლის შიშმა და ახალი ბუას მოფიქრება შეიქმნა საჭირო. ხელისუფლებას ბევრი არ უნვალა და მთავარ საფრთხედ რუსეთი გამოაცხადა. მეტიც, არჩევნებზე ორმა მთავარმა კანდიდატმა კამპანია იმაზე ააგო, ვინ იყო რუსეთის აგენტი და ვინ — არა. არადა, 2012 წელს, წინასწარ ჩვენოდ, მაშინ, როცა ივანიშვილს ხალხის მხარდაჭერა სჭირდებოდა, სხვანიარად ჭიკჭიკებდა. თუ გახსოვთ, თავის რუსულ წარსულს ამყარებდა უსვამდა ხაზს, ამბობდა, რომ პირადად იცნობდა რუსეთის ხელისუფლების უმალეს პირებს, რომ მზად იყო მათთან საუბრისთვის, რომ მას აუცილებლად მოუსმენდნენ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. სხვათა შორის, მაშინ რუსულმა მხარემ განაცხადა: არჩევანი ქართველი ხალხის გასაკეთებელია, ჩვენ კი ყველასთან სასაუბროდ მზად ვართო.

კა უანგაროდ არაფერს გვაძლევს, სანაცვლოდ ლგბტ თემის წარმომადგენელთა მხარდაჭერას, იდენტობის დაკარგვას, ეროვნული სულის ჩაკვლას ითხოვსო, მაგრამ ამოსავალი წერტილი სხვა იყო — ფული მოდიოდა ბაბა, ბაბრი ფული! ამის მიუხედავად, მაინც იყო მცდელობა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებები დაწყებულიყო, მაგრამ ივანიშვილმა — პოლიტიკიდან მივიდვიარო, და ჩრდილო დაჩენა ამჯობინა. ე.წ. ლიბერალურმა ფრთამ კი 2012 წელს მიცემული პირობა დაინიშნა (პრინციპში, პირობა ივანიშვილმა დადო) და სრული სვლით ეპროკა-ამერიკისკენ ავიღეთ გზი. სანაცვლოდ კი მივიღეთ ის, რომ ამერიკაც და ეპროკაც რუსეთს სწორედ ჩვენი ევატარებოდნენ, ჩვენ გვაძევაბდნენ, ჩვენ გვეუბნებოდნენ: ოკუპანტი უბანით ჩრდილოელ მეზობელს და ბრანტები არ შეწყდებოდნენ. შედეგად, აუცილებელი შეიქმნა ეპროკარაშვილის ქართულ წევრებს ყოველი გამოსვლისას რუსეთი ოკუპანტად მოეხსენიებინათ და ალტკინებული ეპროკალების ტაში ამაყად ესმინათ.

დაპირაბების შესრულების ნახვლად გასვითილი სფრთხობელა: რუსეთი დაბვიპრობს!



ეგებ ხალხს ჰკითხვით, ბატონებო, ეშინია რუსეთის?

სუფლების პირობებში ცხრა წელი და ახლა დამატებით ექვსი საგარეო კურსი, უბრალოდ, ფარსი იყო. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარდა, ივანიშვილმა და მისმა გუნდმა 2012 წელს არაერთი დაპირება გასცა. ხალხის მთავარი მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენა იყო, რომელიც, აღდგა კი არა, ჯერ კობიტაციებში გადაიზარდა და ახლა რა ჰქვია, მგონი, თვითონაც არ იცის. ამას წინათ პაპა პაპაძის სიძემ, პაპა პაპაძემ, სოციალურ ქსელში „ოცნების“ ლიდერებს მიმართა: დამისახელოთ ერთი მუნიციპალიტეტი საქართველოში, რომელშიც ყოფილი „მამალი ნაციონალი“ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არ არის და ხმას არ ამოვიღებო. მართლაც, არ არსებობს მუნიციპალიტეტი, სამინისტრო, სამსახური, რომლებშიც ნაციონალები თანამდებობებზე არ იყვნენ მო-

კალათებულნი და იმ ადამიანებს, რომლებიც მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ, ლაღ არ დასცინოდნენ. სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა არათუ შესრულდა, პირიქით, უსამართლობის ზეიმიცა. მეორე მთავარი დაპირება კი „უფასო ფული“ იყო, ანუ ინფლაციის პიკი, რომელსაც ივანიშვილი ყველა შესვენებაზე ახსენებდა. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ ბანკებმა საპროცენტო განაკვეთი გაზარდეს და ისედაც გაღარიბებული მოსახლეობა უფრო მეტად გაღატაკდა. ასე ქარხნის აშენება რეალური ჩანდა. რეალური იმიტომ, რომ საქართველოს აქვს ამის პოტენციალი. საბჭოთა პერიოდში არ არსებობდა რაიონი, რომელშიც რამდენიმე საწარმო არ ყოფილიყო და დასაქმებულიც ყველა იყო. სხვა დაპირებების დარად, არც ქარხნები აშენებულა, არც უმუშევრობის პრობლემა გადაწყ-

ვეტილა და, საზოგადოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნით, ვინ იმაზე მეტად გაღარიბდა, ვიდრე ადრე იყო. აი, გაეროს კვლევის თანახმად, საქართველოში ყოველდღიურად 77 ათასი ბავშვი ვერ იღებს საჭირო რაოდენობის საკვებს და ეს რიცხვი, რბილად რომ ვთქვათ, კატასტროფულია. სოფლის მეურნეობაში ჩადებული მილიარდობით ლარი არავის უნახავს. არადა, გლეხობა იმდენი თვალის შეპყრებდა ივანიშვილს. ჩადებული ფული ვინ ჩივის, ყურძნის ლუბრიკირებაზე კი შენევიტა სახელმწიფომ, ორიოდე წლის წინათ ატმის ჭარბი მოსავალი წყალს გაატანა გლეხობამ და სოფლის მეურნეობა „საძოვარზე უპატრონოდ მიშვებულ ნახირს“ დაემსგავსა. ადგილობრივი პროდუქციის კონკურენციას ვერ უწევს შემოტანილ სოფლის მეურნე-

ობის პროდუქტებს და ქართული, ნატურალური საკვების ნაცვლად, უცხოური, ნიტრატებით გაჯერებული პროდუქტის მიღება გვინევს. მოდი საკითხს ასე შევხედოთ — რომელი დამირიბა შეასრულა ივანიშვილმა? ის, რომ თურმე ტელეფონებს აღარ უსმენენ, აბსურდია, რადგან მედიაში ისეთი ჩანაწერები ვრცელდება, ადგილი მისხვედრია, რომ კარგად გვისმენენ. უკანონო დაკავებები არ ხდებოდა და ბევრმა საქმემ დატოვა დიდი კითხვის ნიშნები. ნარკობარგების მფარველებს გაეპარებოდა და გაქრობას ვინ ჩივის, ნარკოტიკების ლეგალიზება მოვახდინეთ. ეროვნული ვალუტა თავისუფალი ვარდის რეჟიმშია, პროდუქტი იმაზე მეტად გაძვირდა, ვიდრე ოდესმე; წყალზე, ბუნებრივ აირსა და ელექტროენერჯიზე გადასახადებმა მოიმატა და კიდევ აპირებენ გაზრდას (განახევრებას გვპირდებოდნენ); ბენზინის ფასი, საიდანაც თურმე ერთი ლარი ხელისუფლების ჯიბეში მიდიოდა, ლამის სამ ლარამდე ავიდეს. და ამ ყველაფრის ფონზე, არ იმატებს პენსია-ხელფასები, არ იქმნება სამუშაო ადგილები, რეკულაციები შემოვიღეთ ტაქსებისთვის, ახალ გადასახადებზე ვფიქრობთ და არავინ გვეუბნება, როდის დასრულდება ეს ყველაფერი. როდის გამყარდება ვალუტა, როდის შეიქმნება სამუშაო ადგილები, როდის მოიმატებს პენსია და ხელფასი, როდის აღარ იშინებულეს ყოველდღიურად 77 ათასი ბავშვი... და ამ ყველაფრის გადაფარვას ცდილობენ ერთადერთი მუქარით — თუ ხელისუფლება შეიცვლება, რუსეთი დაგვიპრობს. ეს მუქარა იყო წინა ხელისუფლების პირობებშიც, მაგრამ რუსეთს აზრადაც არ მოსვლია ჩვენი დაპყრობა. ჯერ ერთი, საამისო სურვილი არ აქვს და მეორე — ჩვენსავით ჩამორჩენილი ქვეყნის დაპყრობა მის რჩევას ნიშნავს და სარჩენი თავისიც საკმარისი ჰყავს ჩრდილოელ მეზობელს. ჩატარდება არჩევნების მეორე ტური, ავირჩევთ ახალ პრეზიდენტს და ხელისუფლებას ისევ დაავიწყდება ხალხი მომავალ არჩევნებამდე. აქედანვე ჩანს, რომ მომავალ არჩევნებზეც რუსეთზე უკეთეს თემას ვერც ერთი მხარე ვერ გამოახავს და ეგებ ხალხს ჰკითხოთ, ბატონებო, ეშინია რუსეთის? იქნებ იმის უფრო ეშინია, რომ ეპროკა-ამერიკისკენ მიმავალ გზაზე ყველაფერს ვკარგავთ, რასაც ეროვნული ჰქვია, და სანაცვლოდ ვერაფერს ვიღებთ, გარდა იმის შესხენებისა, რომ ნატოსა და ევროკავშირის კარზე თურმე უფრო მაგრად უნდა დავაკაკუნოთ. არ გვიღებენ და „მეეკითხეთ“, თუ გინდათ...
ბასო პარტაქაძე

2012 წელს, წინასწარ ჩვენოდ, მაშინ, როცა ივანიშვილს ხალხის მხარდაჭერა სჭირდებოდა, სხვანიარად ჭიკჭიკებდა. თუ გახსოვთ, თავის რუსულ წარსულს ამყარებდა უსვამდა ხაზს, ამბობდა, რომ პირადად იცნობდა რუსეთის ხელისუფლების უმალეს პირებს, რომ მზად იყო მათთან საუბრისთვის, რომ მას აუცილებლად მოუსმენდნენ, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. სხვათა შორის, მაშინ რუსულმა მხარემ განაცხადა: არჩევანი ქართველი ხალხის გასაკეთებელია, ჩვენ კი ყველასთან სასაუბროდ მზად ვართო.

**P.S. ივანიშვილმა ისიც თქვა: ხალხო, კიდევ ერთხელ მენდეთ; ვისაც გული გაგიტყდათ, გაგიმრთელეთ, გვერდზე დაგიყენებთ და ნაცების გადმოპორტირებაც მორჩებაო. ამ განცხადებიდან მეორე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მიხეილ ნინუა დაინიშნა, კაცი, რომელიც ნაციონალების პერიოდში ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო და უკანონოდ ჩამორთმეული ქონება სწორედ მისი ხელმოწერით ჯდებოდა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. დაზარალებულებმა დათვალეს და ნინუას ხელმოწერით წინა ხელისუფლების მიერ „ახელუმა“ სიკეთემ, საერთო ჯამში, 120 მილიონ ლარს გადააჭარბა. ისევ გვატყუებს თუ არა ივანიშვილი, თავად განსაჯეთ.
P.P.S. ადამიანს, რომელიც უამრავი დაპირებიდან ერთსაც არ ასრულებს, მატყუარა ჰქვია, ბატონო ბიძინა.**

საერთაშორისო და ხელისუფლება

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნარკოტიკების გასაღებაზე სიკვდილით სჯიან არაერთ ქვეყანაში, მაგალითად, ირანსა და რამდენიმე არაბულ სახელმწიფოში. ჰოდა, ირანელი და არაბი მოქალაქეები ამ ჩამოდიან, ამ ყიდნიან ნარკოტიკს და ყიდნიან იმიტომ, რომ ზუსტად იციან, სიკვდილით არაბინ დასჯის, არც დიდ სასჯელს მისცემენ და, შემთხვევით თუ რომელიმე საშუალო პატიმრობას გამოჰყარა ხელი, პრეზიდენტის ინსტიტუტი აქვთ თავისი შეწყალების კომისიით და საშუალო პატიმრობაში იწვიან „ბარიზის“ შეწყალება რომორ უნდა, კი დაგვანახვა მარგველავილია.

„როგორც იქნა, ხელისუფლებას ეყო გონიერება და უკან დაიხია“, — ეს ფრაზა არაერთმა ექსპერტმა თუ პოლიტიკური ოპოზიციის წარმომადგენელმა მას შემდეგ თქვა, რაც პატრიარქთან შეხვედრაზე მისულმა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ და შს მინისტრმა გიორგი გახარიაძემ ქართული ეკლესიის საჭეთმყრობელს პირობა მისცეს, რომ კანაფის კულტივაციის შესახებ კანონს პარლამენტიდან გაიწვევდნენ. არადა, ანალოგიური პირობა პატრიარქს პირადად კობახიძემ მანამდეც მისცა, მაგრამ შემდეგ, როგორც ნაციონალებმა იცოდნენ, პატრიარქის „გადაგდება“ გადაწყვიტა და განაცხადა: არ გავიწვევთ, პირიქით, შევეცდებით, მოსახლეობას აფუხსნათ, რა სიკეთის მოტანა შეუძლია ამ ყველაფერსო. ეკლესიის მოტყუება არც მღვდელმთავრებმა აპატიეს კობახიძეს და არც ამომრჩეველმა — არჩევნებზე, რომლის „მოყომარებასაც“ სწორედ კობახიძე გვეპირდებოდა პირველ ტურში, მმართველმა გუნდმა მწარე სილა იგემა. სწორედ არჩევნების შედეგების შემდეგ დაიჯერეს ხელისუფლებაში, რომ ქართველი ხალხი შეეგუება შიმშილს, გაჭირვებას, მაგრამ არ შეეგუება მომავალი თაობის გამოთავყენების დაკანონებას, არ შეეგუება შვილების სიკვდილს. შესაბამისად, ხელისუფლებამ ხალხზე ზრუნვის გამო კი არ დაიხია უკან, არამედ ძალაუფლების დაკარგვის შიშმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი, თუმცა...

საპატრიარქოდან გამოსული კობახიძისა და ბახარის განცხადებები ყველაზე მეტად გულზე ნაციონალებს მოხვდათ და ერთი დღის შემდეგ პატრიარქს უკვე მასშტაბები შეხვდნენ — ბრიგოლი და ბირობი. იქიდან გამოსულ შემდეგ, ხელისუფლების არ იყოს, ტყუილი იკადრეს, აქაოდა, პატრიარქს მახინჯი სისტემის დანგრევის ჩვენეული რეცეპტი აინტერესებდა და მუდმივად იმას გვეკითხებოდა: ამას როგორ აპირებთო. თავის მხრივ, ეკლესიამ ტყუილი არც ოპოზიციას აპატია და განაცხადა, რომ პატრიარქს ასეთი რამ არ უთქვამს. შედეგად, მრევლის ხმებისთვის გამართული ორდღიანი ბრძოლა ხელისუფლებამ მოიგო და ახლა საინტერესო ის არის, თვით მრევლი თუ მოინდომებს იმ არჩევნებზე მისვლას, რომელზეც ორი ვაკოტრებული ძალა ერთმანეთს პრეზიდენტის არაფრისმთქმელი პოსტისთვის ეჭიდავება.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ მინც გვგონია, რომ საპატრიარქომ უფრო ხისტი პოზიცია უნდა დაიკავოს ნარკოტიკების მოხმარების მიმართ. საქმე ისაა, რომ შს მინისტრის მოადგილე ნათია მიხარაძის პარლამენტში წარადგინა რეგულაციების პაკეტი, რომელშიც წერია, რომ ადამიანებს ეკრძალებათ ნარკოტიკების მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სკვერებში, პარკებში, სკოლებში არასრულწლოვანთა თანდასწრებით (ალბათ, სამასწავლებლოში შეიძლება)... რა გამოდის?! ნარკოტიკების მიღება კი არ იკრძა-

ლება, უბრალოდ, კარგად იფუთება; ანუ შესაძლებელია ჩვენ ნუ დაინახავთ, ისე კი რაც გინდათ, ის აკეთებთო. ნარკოტიკული ტრეფიკის ქვეშ (კანონის ენაზე), ანუ განგრაჟულ კაიფში (ხალხის ენაზე) მყოფი ადამიანი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას რომ მივა, იმ, სადაც არასრულწლოვნები არიან, და დროებითი და დუმილი გადმოუვა პირიდან, პასუხს ვინ აბეჭდს, მთავარი უნდა იყოს არა-არადა, სწორედ ახლა იყო იმის თქმის შანსი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ქალაქის უწყება, არ ეთანხმება საკანონმდებლო ორგანო და უნდა დაეწყოს მუშაობა კანონის მართლად გამოკატრებაზე და არა იმ პაკეტის შეტანაზე, რომლითაც ნარკოტიკების პირდაპირ მიუთითეს: ჩვენ ნუ დაგვენახვებით, თორემ ისე მწვანე შუქი გაქვთო. და მაინც, რატომ უშინია ნაციონალურმა ნარკოტიკების აკრძალვის კანონის აპრობაციას?! რატომ უშინია ამ მიმართულებით კანონის გამაძლიერებელი?

სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ მათ ამის კი არ ეშინიათ, უბრალოდ, არ სურთ, რადგან ნარკოტიკი დიდძალი ფულია. ის, რომ ნინა მთავრობის პერიოდშიც და ახლაც ამბობენ, ნარკოტიკული ბაზარი რეგულაციების ხელისუფლების უმადლეს ემულიონებში ჰყავთო, როგორც ჩანს, რეალურად მოკლებული არ არის. სხვაგვარად ახსნა არ აქვს იმას, რაც ხდება. ქვეყნის ყველა-

რატომ არ უნდა ხელისუფლებას ნარკოტიკების აკრძალვა?!



ქვეყნის ყველაზე მკვრივი ინსტიტუტი — ეკლესია ნინააღმდებია, ამომრჩეველი რომ ნინააღმდებია, ამ არჩევნებზე გამოჩნდა, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტობს და შეფარვით მაინც ცდილობს, ნარკოტიკების ლეგალიზაცია ძალაში დატოვოს. არადა, მაგალითი იმისა, რომ სწორედ ნარკოტიკებმა შეინარა თაობები, საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი აქვს — არაერთი ახალგაზრდა სწორედ ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემდეგ გარდაიცვალა ზედოზირებით. ნარკოტიკების გასაღებაზე სიკვდილით სჯიან არაერთ ქვეყანაში, მაგალითად, ირანსა და რამდენიმე არაბულ სახელმწიფოში. ჰოდა, ირანელი და არაბი მოქალაქეები ამ ჩამოდიან, ამ ყიდნიან ნარკოტიკს და ყიდნიან იმიტომ, რომ ზუსტად იციან, სიკვდილით არაბინ დასჯის, არც დიდ სასჯელს მისცემენ და, შემთხვევით თუ რომელიმე საშუალო პატიმრობას გამოჰყარა ხელი, პრეზიდენტის ინსტიტუტი აქვთ თავისი შეწყალების კომისიით და საშუალო პატიმრობაში იწვიან „ბარიზის“ შეწყალება რომორ უნდა, კი დაგვანახვა მარგველავილია.

ზე მძლავრი ინსტიტუტი — ეკლესია ნინააღმდებია, ამომრჩეველი რომ ნინააღმდებია, ამ არჩევნებზე გამოჩნდა, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტობს და შეფარვით მაინც ცდილობს, ნარკოტიკების ლეგალიზაცია ძალაში დატოვოს. არადა, მაგალითი იმისა, რომ სწორედ ნარკოტიკებმა შეინარა თაობები, საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი აქვს — არაერთი ახალგაზრდა სწორედ ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემდეგ გარდაიცვალა ზედოზირებით. ნარკოტიკების გასაღებაზე სიკვდილით სჯიან არაერთ ქვეყანაში, მაგალითად, ირანსა და რამდენიმე არაბულ სახელმწიფოში. ჰოდა, ირანელი და არაბი მოქალაქეები ამ ჩამოდიან, ამ ყიდნიან ნარკოტიკს და ყიდნიან იმიტომ, რომ ზუსტად იციან, სიკვდილით არაბინ დასჯის, არც დიდ სასჯელს მისცემენ და, შემთხვევით თუ რომელიმე საშუალო პატიმრობას გამოჰყარა ხელი, პრეზიდენტის ინსტიტუტი აქვთ თავისი შეწყალების კომისიით და საშუალო პატიმრობაში იწვიან „ბარიზის“ შეწყალება რომორ უნდა, კი დაგვანახვა მარგველავილია.

ეკლესია ნინააღმდებია, ამომრჩეველი რომ ნინააღმდებია, ამ არჩევნებზე გამოჩნდა, მაგრამ ხელისუფლება ჯიუტობს და შეფარვით მაინც ცდილობს, ნარკოტიკების ლეგალიზაცია ძალაში დატოვოს. არადა, მაგალითი იმისა, რომ სწორედ ნარკოტიკებმა შეინარა თაობები, საქართველოს უახლეს ისტორიას არაერთი აქვს — არაერთი ახალგაზრდა სწორედ ნარკოტიკების ლეგალიზაციის შემდეგ გარდაიცვალა ზედოზირებით. ნარკოტიკების გასაღებაზე სიკვდილით სჯიან არაერთ ქვეყანაში, მაგალითად, ირანსა და რამდენიმე არაბულ სახელმწიფოში. ჰოდა, ირანელი და არაბი მოქალაქეები ამ ჩამოდიან, ამ ყიდნიან ნარკოტიკს და ყიდნიან იმიტომ, რომ ზუსტად იციან, სიკვდილით არაბინ დასჯის, არც დიდ სასჯელს მისცემენ და, შემთხვევით თუ რომელიმე საშუალო პატიმრობას გამოჰყარა ხელი, პრეზიდენტის ინსტიტუტი აქვთ თავისი შეწყალების კომისიით და საშუალო პატიმრობაში იწვიან „ბარიზის“ შეწყალება რომორ უნდა, კი დაგვანახვა მარგველავილია.

